საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

30/03/2026 N 77

თბილისი

შპს „ბიტსვაპი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის N167/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 25 მარტის N72/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს „ბიტსვაპი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 445729739) ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით ვგპ-0235456, მისამართზე: ქ. ბათუმი, შოთა რუსთაველის ქ. N 59, ბინა 37ბ;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ბიტსვაპი“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2025 წლის 13 ოქტომბრის N200 განკარგულება;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ნინო ჯელაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი